ვებგვერდი, 11/04/2014
სარეგისტრაციო კოდი
010330000.22.055.016040

# საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ბრძანება №01/267
# 2014 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი

## „სპორტის სფეროში საპატიო წოდებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 15 ივნისის №01/129 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ “ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„სპორტის სფეროში საპატიო წოდებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 15 ივნისის №01/129 ბრძანებაში (ვებგვერდი, 20/06/2012, სარეგისტრაციო კოდი: 010330000.22.055.016016) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების მე-2 პუნქტის „ა.ა“, „ა.ბ“ და „ა.გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა) მის მიერ გაწრთვნილმა სპორტსმენმა დაიკავა სულ მცირე მე-6 ადგილი მაინც, ზაფხულის ან ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, სულ მცირე მე-3 ადგილი მსოფლიოს ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ან ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე;

ა.ბ) მის მიერ გაწვრთნილმა სპორტსმენმა დაიკავა პირველი ადგილი მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე (დიდებში, ახალგაზრდებში, ჭაბუკებში);

ა.გ) მის მიერ გაწვრთნილმა არანაკლებ ორმა სპორტსმენმა დაიკავა საპრიზო ადგილი მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატზე (დიდებში, ახალგაზრდებში, ჭაბუკებში)“.

2. ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა) ზაფხულის ან ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოს ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე ან ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე მონაწილეობის ლიცენზია (სათამაშო სახეობებში);

ბ.ბ) მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება (სათამაშო სახეობებში, დიდებში, ახალგაზრდებში, ჭაბუკებში)“.

3. ბრძანების მე-2 პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ე) სპორტის ინდივიდუალური (ოლიმპიური) სახეობების მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატების გუნდურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი (დიდებში, ახალგაზრდებში, ჭაბუკებში)“.

4. ბრძანების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) რომლებმაც არაოლიმპიურ სახეობებში მიაღწიეს ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა.ბ“, „ა.გ“, „ბ.ბ“, „ბ.გ“ და „ბ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ წარმატებებს“.

5. ბრძანების მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) რომლებმაც აღზარდეს წარმატებული სპორტსმენები სპორტის ეროვნულ სახეობებსა და იმ სახეობებში, რომლებშიც არ ტარდება ამ ბრძანების მე-2 პუნქტში გათვალისწინებული შეჯიბრებები“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა მინისტრი *ლევან ყიფიანი*